ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა № 30

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქალაქი ბათუმი 27 სექტემბერი 2016 წელი

ერთის მხრივ სსიპ აკაკი წერეთლის სახლობის ქალაქ ბათუმის №11 საჯარო სკოლა (შემდგომში „შემსყიდველი"), წარმოდგენილი დირექტორი მანანა მიქელაძის სახით და მეორეს მხრივ შპს კანცელარიის ცენტრი–ს დირექტორი ემზარ მანველიძე (ს/კ №445467370, მის ბათუმი აღმაშენებლის 21), (შემდგომში „მიმწოდებელი"), სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე, დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

**1. ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინების განმარტებები**

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ „ხელშეკრულება") - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება მასზე თანდართული ყველა დოკუმენტითა და დამატებებით, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ;

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" – ხელშეკრულების ჯამური ღირებულება, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულების სანაცვლოდ;

1.3. „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4. „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5. "დღე", "კვირა", "თვე" – კალენდარული დღე, კვირა, თვე;

1.6. „საქონელი" – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი;

**2. ხელშეკრულების საგანი**

2.1. ხელშეკრულების საგანია საკანცლარიო საქონელი CPV კოდი 22800000 , 30100000

**3. ხელშეკრულების ღირებულება**

3.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 124 (ასოცდაოთხი) ლარს და 70 თეთრს.

3.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებით მიწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა სავარაუდო ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს, რომელთა გადახდაზეც პასუხისმგებელია მიმწოდებელი.

**4. საქონლის მიწოდების პირობები**

4.1. საქონლის მიწოდებას მიმწოდებელი უზრუნველყოფს ხელშეკრულების გაფორმების თარიღიდან არაუგვიანეს 2016 წლის 18 ოქტომბრამდე .

4.2. საქონლის მიწოდებას მიმღები უზრუნველყოფს საკუთარი ხარჯებით.

4.3. საქონლის მიწოდების ადგილია ქალაქი ბათუმი, წერეთლის ქუჩა №42,

**5. საქონლის მიღება-ჩაბარების წესი**

5.1. საქონლის მიღება-ჩაბარებას ახორციელებენ სათანადოდ უფლებამოსილი პირები.

5.2. შემსყიდველის მხრიდან საქონლის მიღება-ჩაბარებაზე უფლებამოსილია ხელშეკრულების შესრულების კონტროლის განმახორციელებელი პირები.

5.3. საქონელი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიწოდებული საქონლის რაოდენობის, ღირებულების და ტექნიკური მახასიათებლების მითითებით შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

5.4. შემსყიდველმა უნდა შეამოწმოს საქონელი ხელშეკრულების პირობებთან მიმართებაში.

5.5. თუ საქონელი არ შეესაბამება ხელშეკრულების პირობებს, შემსყიდველი მიმწოდებელთან ერთად, ან მის გარეშე, ადგენს აქტს დადგენილი წესის შესაბამისად.

5.6. შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით აცნობოს მიმწოდებელს შემოწმების შედეგები, დაწუნებული საქონლის რაოდენობისა და წუნდების მიზეზის მითითებით.

**6. ანგარიშსწორების ფორმა, წესი და ვადები**

6.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ხელშეკრულებით გათვალსწინებულ რეკვიზიტებზე ეროვნულ ვალუტაში.

6.2. შემსყიდველი ანგარიშსწორებას ახორციელებს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების 5.3. მუხლით განსაზღვრული წესით შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტის შესაბამისად შევსებული სასაქონლო ზედდებულის ან/და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 15 სამუშაო დღის განმავლობაში.

6.3. მიმწოდებელი ვალდებულია წარმოდგენილ სასაქონლო ზედდებულზე ან/და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურაზე მიუთითოს ყველა საჭირო რეკვიზიტი. წინააღმდეგ შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს არ მიიღოს დოკუმენტი.

6.4. ხელშეკრულების ფარგლებში მისაწოდებელი საქონელის გარკვეული ნაწილის აუთვისებლობის შემთხვევაში, მიმწოდებელს არ უნდა გააჩნდეს პრეტენზია დარჩენილ თანხაზე.

**7. გარანტია**

7.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მიწოდებული საქონელი ექსპლუატაციის დროს არ გამოავლენს დეფექტებს.

7.2. საქონლის საგარანტიო პერიოდი განსაზღვრულია საგარანტიო ვადების შესახებ ინფორმაციით.

7.2. საქონლის საგარანტიო პერიოდი განსაზღვრულია საგარანტიო ვადების შესახებ ინფორმაციით.
7.3. მიმწოდებელი ვალდებულია საგარანტიო პერიოდის განმავლობაში გამოასწოროს/აღმოფხვრას ყველა ის ხარვეზი, რომელსაც გამოავლენს საქონელი სწორი ექსპლუატაციის პირობებში.
7.4. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრული მიწოდებული საქონლის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს ხელშეკრულებით განსაზღვრულ პირობებს და არსებულ სტანდარტებს.
7.5. 7.4. პუნქტში აღნიშნული პირობებიდან გადახვევის შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია არ მიიღოს საქონელი ან/და მიმწოდებლის მიმართ გამოიყენოს ამ ხელშეკრულებით და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ზომები.

8. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი
8.1. შემსყიდველს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი.
8.2. შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების შესრულების კონტროლს ახორციელებს სამეურნეო ნაწილის უფროსი თემურ მოქერია.
8.3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი ხორციელდება სისტემატიურად, შემსყიდველის შეხედულებისამებრ.
8.4. კონტროლი ხორციელდება როგორც შუალედური ფორმით – საქონლის მიწოდების პროცესში, ისე მისი დამთავრების შემდგომ, მიღება-ჩაბარებისას.
8.5. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯით უზრუნველყოს კონტროლის შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის
9.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0.07 პროცენტის ოდენობით.
9.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 5 პროცენტს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.
9.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ხელშეკრულებით განსაზღვრული ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. დაუძლეველი ძალა
10.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში მხარე ვალდებულია მეორე მხარეს აცნობოს ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.
10.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „დაუძლეველი ძალა" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი.
10.3. თუ მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ვალდებულებებს, მან ამის შესახებ დაუყოვნებლივ, არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს აღნიშნული გარემოების დადგომის (დასრულების) შესახებ.
10.4. 10.3. მუხლით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარე არ გათავისუფლდება ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან.
10.5. მხარეთა ვალდებულებები და პასუხისმგებლობა განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა
11.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.
11.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
11.3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.
11.4. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

12. ხელშეკრულების შეწყვეტა
12.1. შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:
ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს მთელი საქონელი ან მისი ნაწილი;
ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულება;
გ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

12.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.
12.3. ხელშეკრულების 12.1 მუხლში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია მიმწოდებელს აუნაზღაუროს ფაქტიურად მიღებული საქონლის ღირებულება.
12.4. შემსყიდველი ვალდებულია არანაკლებ 5 დღით ადრე წერილობით აცნობოს მიმწოდებელს 12.1. მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების განზრახვის თაობაზე.
12.5. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

13. სადაო საკითხების გადაწყვეტა
13.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.
13.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მიმართოს სასამართლოს.

14. სხვა პირობები
14.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეების მიერ ხელმოწერის დღიდან.
14.2. საქონლის ან მისი ნებისმიერი ნაწილის გამოყენებისას საპატენტო უფლების დარღვევასთან, ასევე სასაქონლო მარკის ან საწარმოო ნაკეთობის გამოყენებასთან დაკავშირებით წარმოშობილი დავების ან მატერიალური პასუხისმგებლობის მოგვარება ეკისრება მიმწოდებელს.
14.3. მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს საქონლის ისეთი შეფუთვა, რომელიც დაიცავს მას დაზიანების ან გაფუჭებისაგან ფასებისა და მიწოდების ვადების შესახებ ინფორმაციაში მითითებულ დანიშნულების ადგილამდე ტრანსპორტირების პროცესში.
14.4. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე. მესამე პირებთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.
14.5. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.
14.6. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, ელექტრონული წერილის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე. შეტყობინება
ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.
14.7. ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის შესრულდება ქართულ ენაზე.
14.8. ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ეგზემპლარი ინახება შემსყიდველთან და ერთი ეგზემპლარი მიმწოდებელთან.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა
15.2. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების ხელისმოწერის თარიღიდან და მოქმედებს 2016 წლის 31 დეკემბრამდე.
17. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი:

სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის
ქალაქ ბათუმის №11 საჯარო სკოლა
6010, საქართველო, ქალაქი ბათუმი
წერეთლის ქუჩა №42
ს/კ 245437692
ს.ს. „ლიბერთი ბანკი“
მფო LBRTGE22
ანგ. № GE05LB0121129211757000

------------------------------

მანანა მიქელაძე
დირექტორი

მიმწოდებელი:

შპს კანცელარიის ცენტრი
6010 საქართველო, ბათუმი
აღმაშენებლის 21
ს/კ 445467370
ს.ს. პროკრედიტ ბანკი
მფო BIMCGE22
ა/ა GE96PC0033600100051322

------------------------------

ე. მანველიძე

## საგადასახადო დავალება №241

26 ოქტომბერი 2016 წელი

გადამხდელის დასახელება სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის №11 საჯარო სკოლა

საიდენტიფიკაციო კოდი 245437692 ანგარიში(დებეტი) GE05LB0121129211757000

გადამხდელის ბანკი: სს ლიბერთი ბანკი ბანკის კოდი LBRTGE22

მიმღების დასახელება შპს კანცელარიის ცენტრი

საიდენტიფიკაციო კოდი ანგარიში (კრედიტი) GE96PC0033600100051322

მიმღები ბანკი: სს პროკრედიტ ბანკი ბანკის კოდი MIBGGE22

საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი

გადახდის დანიშნულება -------------------

საკანცელარიო საქონლის ღირებულება

დამატებითი ინფორმაცია

ხელმოწერები: ხელმძღვანელი:

მთ. ბუღალტერი:

თანხა

124-70

თანხა სიტყვებით
ასოცდაოთხი ლარი
და 70 თეთრი

ბანკის აღნიშვნები

ბანკში შემოსვლის თარიღი -------

გატარებულია ბანკის მიერ -------

ხელმოწერა ---------------------

| 1 | სასაქონლო ზედნადები # | ელ- 0267180842 |
|---|---|---|

13/10/2016
თარიღი (რიცხვი, თვე, წელი)

| 3 | 11:03:27 |
|---|---|

დრო (საათი, წუთი)

...გადამხდელი)

| შპს კანცელარიის ცენტრი | 445467370 |
|---|---|
| გამყიდველის (გამგზავნის) დასახელება,ან სახელი და გვარი | საიდენტიფიკაციო/პირადი ნომერი |

| 5 | სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის # 11 საჯარო სკოლა | 245437692 |
|---|---|---|
| | მყიდველის (მიმღების) დასახელება,ან სახელი და გვარი | საიდენტიფიკაციო / პირადი ნომერი |

| 6 | ოპერაციის შინაარსი | ტრანსპორტირების გარეშე |
|---|---|---|

| 7 | ბათუმი, დ.აღმაშენებლის21.ა/ნ GE96PC0033600100051322. T240505 |
|---|---|

ტრანსპორტირების დაწყების ადგილი (მისამართი)

| 8 | X |
|---|---|

ტრანსპორტირების დასრულების ადგილი (მისამართი)

| 9 | |
|---|---|

ტრანსპორტირების სახე

| 10 | X |
|---|---|

სატრანსპორტო საშუალების სახელმწიფო ნომერი

მისაბმელი

| 11 | სატრანსპორტო საშუალების მძღოლის პირადი ნომერი | X |
|---|---|---|

| 12 | გამყიდველის(გამგზავნის)/მყიდველის(მიმღების) მიერ გაწეული ტრანსპორტირების ხარჯი | მყიდველი - 0 |
|---|---|---|

თანხა ლარებში

# სასაქონლო ზედნადების ცხრილი

| # | საქონლის დასახელება | საქონლის კოდი | საქონლის ზომის ერთეული | საქონლის რაოდენობა | საქონლის ერთეულის ფასი* | საქონლის ფასი * |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 12894 სტეპლერის გული N10 | 12894 | ცალი | 2.0000 | 0.2000 | 0.4000 |
| 2 | 3756 კონვერტი A-4 | 3756 | ცალი | 20.0000 | 0.2000 | 4.0000 |
| 3 | 2720 კონვერტი A-6 | 5720 | ცალი | 10.0000 | 0.1000 | 1.0000 |
| 4 | 6555 ჩასანიშნი ფურცელი (შეკვრა) | 6555 | ცალი | 1.0000 | 1.8000 | 1.8000 |
| 5 | 3913 საბუღალტრო წიგნი | 3913 | ცალი | 2.0000 | 9.0000 | 18.0000 |
| 6 | 13065 სახაზავი | 13065 | ცალი | 3.0000 | 0.5000 | 1.5000 |
| 7 | 58207 საქაღალდე | 58207 | ცალი | 10.0000 | 0.3000 | 3.0000 |
| 8 | 9485 ბაინდერი | 13032 | ცალი | 5.0000 | 3.0000 | 15.0000 |
| 9 | 8946-8945 სკოჩი (თეთრწებოვანი ლენტი) | 8946 | ცალი | 5.0000 | 0.3000 | 1.5000 |
| 10 | 10365 თეთრწებოვანი ლენტი | 10365 | ცალი | 5.0000 | 4.5000 | 22.5000 |

| 13 | 117.2 - ას ჩვიდმეტი ლარი და ოცი თეთრი |
|---|---|

მიწოდებული საქონლის მთლიანი თანხა (ციფრებით და სიტყვიერად)

| 14 | |
|---|---|

გამყიდველი (გამგზავნი)/საქონლის ჩაბარებაზე უფლებამოსილი პირი (თანამდებობა, სახელი და გვარი)

| 15 | |
|---|---|

მყიდველი (მიმღები)/საქონლის მიღებაზე უფლებამოსილი პირი (თანამდებობა, სახელი და გვარი)

| 16 | |
|---|---|

ხელმოწერა

| 17 | |
|---|---|

ხელმოწერა

| 18 | მიწოდებული საქონლის ჩაბარების | 19/10/2016 | 10:31:00 |
|---|---|---|---|
| | | თარიღი (რიცხვი, თვე, წელი) | დრო (საათი, წუთი) |

| 19 | |
|---|---|

შენიშვნა: * დღგ-ს გადამხდელისათვის დღგ-ს ჩათვლით, აქციზის გადამხდელისათვის აქციზურ საქონელზე, დღგ-ს და აქციზის ჩათვლით

ამობეჭდვის თარიღი 24/10/2016, 13:22:20

0267180842 სასაქონლო ზედნადების დანართი

| | დასახელება | საქონლის კოდი | საქონლის ზომის ერთეული | საქონლის რაოდენობა | საქონლის ერთეულის ფასი* | საქონლის ფასი * |
|---|---|---|---|---|---|---|
| | 0325 სტეპლერი | 0325 | ცალი | 1.0000 | 2.7000 | 2.7000 |
| | 0100 მარკერი | 0100 | ცალი | 1.0000 | 1.0000 | 1.0000 |
| 13 | წებო მშრალი 36 გ | 70042 | ცალი | 2.0000 | 0.6000 | 1.2000 |
| 14 | 12064 ფაილი 3 მ. 100 ც | 12064 | ცალი | 7.0000 | 3.5000 | 24.5000 |
| 15 | 12110 მაკრატელი | 12110 | ცალი | 1.0000 | 1.0000 | 1.0000 |
| 16 | 11040 მაგნიტი დაფის | 11040 | ცალი | 2.0000 | 1.3000 | 2.6000 |
| 17 | 12233 კორექტორი | 12233 | ცალი | 3.0000 | 1.0000 | 3.0000 |
| 18 | 12895 სტეპლერის გული N24-6 | 12895 | ცალი | 10.0000 | 0.3500 | 3.5000 |
| 19 | 30 საწერი კალამი | 30 | ცალი | 30.0000 | 0.3000 | 9.0000 |

13 117.2 - ას ჩვიდმეტი ლარი და ოცი თეთრი

მიწოდებული საქონლის მთლიანი თანხა (ციფრებით და სიტყვიერად)

14

გამცემი (გამგზავნი)/საქონლის ჩაბარებაზე უფლებამოსილი პირი (თანამდებობა, სახელი და გვარი)

15

მიმღები (მიმღები)/საქონლის მიღებაზე უფლებამოსილი პირი (თანამდებობა, სახელი და გვარი)

16

ხელმოწერა

17

ხელმოწერა

| 18 | მიწოდებული საქონლის ჩაბარების | 19/10/2016 | 10:31:00 |
|---|---|---|---|
| | | თარიღი (რიცხვი, თვე, წელი) | დრო (საათი, წუთი) |

19

შენიშვნა: * დღგ-ს გადამხდელისათვის დღგ-ს ჩათვლით, აქციზის გადამხდელისათვის აქციზურ საქონელზე, დღგ-ს და აქციზის ჩათვლით

ამობეჭვდის თარიღი 24/10/2016, 13:22:20

| | | |
|---|---|---|
| 1 | სასაქონლო ზედნადები # | ელ- 0264471408 |

2 29/09/2016
თარიღი (რიცხვი, თვე, წელი)

3 10:52:39
დრო (საათი, წუთი)

...დღგ-ს გადამხდელი)

| | | |
|---|---|---|
| | შპს კანცელარიის ცენტრი | 445467370 |
| | გამყიდველის (გამგზავნის) დასახელება,ან სახელი და გვარი | საიდენტიფიკაციო/პირადი ნომერი |

| | | |
|---|---|---|
| 5 | სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის # 11 საჯარო სკოლა | 245437692 |
| | მყიდველის (მიმღების) დასახელება,ან სახელი და გვარი | საიდენტიფიკაციო / პირადი ნომერი |

| | | |
|---|---|---|
| 6 | ოპერაციის შინაარსი | ტრანსპორტირების გარეშე |

7 ბათუმი, დ.აღმაშენებლის21.ა/ნ GE96PC0033600100051322. T240505
ტრანსპორტირების დაწყების ადგილი (მისამართი)

8 X
ტრანსპორტირების დასრულების ადგილი (მისამართი)

9
ტრანსპორტირების სახე

10 X
სატრანსპორტო საშუალების სახელმწიფო ნომერი

მისაბმელი

11 სატრანსპორტო საშუალების მძღოლის პირადი ნომერი X

12 გამყიდველის(გამგზავნის)/მყიდველის(მიმღების) მიერ გაწეული ტრანსპორტირების ხარჯი — მყიდველი - 0
თანხა ლარებში

## სასაქონლო ზედნადების ცხრილი

| # | საქონლის დასახელება | საქონლის კოდი | საქონლის ზომის ერთეული | საქონლის რაოდენობა | საქონლის ერთეულის ფასი* | საქონლის ფასი * |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 3756 კონვერტი A-4 | 3756 | ცალი | 10.0000 | 0.2500 | 2.5000 |

13 2.5 - ორი ლარი და ორმოცდაათი თეთრი
მიწოდებული საქონლის მთლიანი თანხა (ციფრებით და სიტყვიერად)

14
გამყიდველი (გამგზავნი)/საქონლის ჩაბარებაზე უფლებამოსილი პირი (თანამდებობა, სახელი და გვარი)

15
მყიდველი (მიმღები)/საქონლის მიღებაზე უფლებამოსილი პირი (თანამდებობა, სახელი და გვარი)

16
ხელმოწერა

17
ხელმოწერა

18 მიწოდებული საქონლის ჩაბარების
თარიღი (რიცხვი, თვე, წელი) დრო (საათი, წუთი)

19

შენიშვნა: * დღგ-ს გადამხდელისათვის დღგ-ს ჩათვლით, აქციზის გადამხდელისათვის აქციზურ საქონელზე, დღგ-ს და აქციზის ჩათვლით

ამობეჭდვის თარიღი 29/09/2016, 11:32:32

| 1 | სასაქონლო ზედნადები # | ელ- 0264082891 |
|---|---|---|

27/09/2016
თარიღი (რიცხვი, თვე, წელი)

| 3 | 13:38:17 |
|---|---|

დრო (საათი, წუთი)

...ღგ-ს გადამხდელი)

| | |
|---|---|
| შპს კანცელარიის ცენტრი | 445467370 |
| გამყიდველის (გამგზავნის) დასახელება,ან სახელი და გვარი | საიდენტიფიკაციო/პირადი ნომერი |

| 5 | სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის # 11 საჯარო სკოლა | 245437692 |
|---|---|---|
| | მყიდველის (მიმღების) დასახელება,ან სახელი და გვარი | საიდენტიფიკაციო / პირადი ნომერი |

| 6 | ოპერაციის შინაარსი | ტრანსპორტირების გარეშე |
|---|---|---|

| 7 | ბათუმი, დ.აღმაშენებლის21.ა/ნ GE96PC0033600100051322. T240505 |
|---|---|

ტრანსპორტირების დაწყების ადგილი (მისამართი)

| 8 | X |
|---|---|

ტრანსპორტირების დასრულების ადგილი (მისამართი)

| 9 | |
|---|---|

ტრანსპორტირების სახე

| 10 | X |
|---|---|

სატრანსპორტო საშუალების სახელმწიფო ნომერი

მისაბმელი

| 11 | სატრანსპორტო საშუალების მძღოლის პირადი ნომერი | X |
|---|---|---|

| 12 | გამყიდველის(გამგზავნის)/მყიდველის(მიმღების) მიერ გაწეული ტრანსპორტირების ხარჯი | მყიდველი - 0 |
|---|---|---|

თანხა ლარებში

## სასაქონლო ზედნადების ცხრილი

| # | საქონლის დასახელება | საქონლის კოდი | საქონლის ზომის ერთეული | საქონლის რაოდენობა | საქონლის ერთეულის ფასი* | საქონლის ფასი * |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 101215 ქაღალდი | 101215 | ცალი | 5.0000 | 1.0000 | 5.0000 |

| 13 | 5 - ხუთი ლარი და ნული თეთრი |
|---|---|

მიწოდებული საქონლის მთლიანი თანხა (ციფრებით და სიტყვიერად)

| 14 | |
|---|---|

გამყიდველი (გამგზავნი)/საქონლის ჩაბარებაზე უფლებამოსილი პირი (თანამდებობა, სახელი და გვარი)

| 15 | |
|---|---|

მყიდველი (მიმღები)/საქონლის მიღებაზე უფლებამოსილი პირი (თანამდებობა, სახელი და გვარი)

| 16 | |
|---|---|

ხელმოწერა

| 17 | |
|---|---|

ხელმოწერა

| 18 | მიწოდებული საქონლის ჩაბარების | 28/09/2016 | 10:09:00 |
|---|---|---|---|
| | | თარიღი (რიცხვი, თვე, წელი) | დრო (საათი, წუთი) |

| 19 | |
|---|---|

შენიშვნა: * დღგ-ს გადამხდელისათვის დღგ-ს ჩათვლით, აქციზის გადამხდელისათვის აქციზურ საქონელზე, დღგ-ს და აქციზის ჩათვლით

ამობეჭდვის თარიღი 28/09/2016, 12:25:22